ქეთევან მუხიგული

გერმანელი ერის ისტორიული მისია

ძნელია დაასახელო ფილოსოფოსი, ვინც ფიხტეს გაუტოლდებოდა ისტორიული სულისკვეთებით. ის უშუალოდ, ცოცხლად გრძნობდა ისტორიის მაჯისცემას და დარწმუნებული იყო, რომ დიდი ისტორიული მოვლენების შუაგულში იმყოფებოდა. სავსებით გასაგებია გერმანელი ფილოსოფოსის ვნებათაღელვა. მის დიალექტიკურ პარადოქსებში შესანიშნავად ჩანს, რომ მას თავს დაატყდა, გარკვეული აზრით, ყველაზე ცუდი დრო _ ,,დასრულებული ცოდვიანობის ხანა". მით უფრო ეოცნებებოდა მას ერთგვარი სულის მოთქმა, ახალი ისტორიული მოვლენები, რომლებიც გონების გამობრწყინებას, ,,გონივრული მეცნიერების" მოახლოვებას ამცნობენ.

ფიხტესთვის ამას ექნებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა უპირველესად იმის გამო, რომ ეს დაადასტურებდა მთელი მისი ისტორიულ-ფილოსოფიური ჰიპოთეზის საფუძვლიანობასა და სისწორეს. ამიტომ ფილოსოფოსი, შეიძლება ითქვას, გულის ფანცქალით დარაჯობდა ახალ, ჯანსაღ, გონებით გაცისკროვნებულ მოვლენებს.

ფიხტესგან, ამ, ასე ვთქვათ, სუბიექტის ფილოსოფოსისგან, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიაში სუბიექტის აქტივობას, მის ნებისყოფას და ძალისხმევას. ამ საკითხში ფიხტესთვის ზედმეტად აქტუალურიც კი გახდა მსოფლიო-ისტორიული ხალხების საკითხი: ვინ არის ის სუბიექტური ფაქტორი, ვინც ამოიცნობს ისტორიის მოთხოვნას და დააჩქარებს „გონივრული მეცნიერების" ეპოქაში გადასვლას? რომელი ხალხის გენია ითამაშებს მოცემულ ისტორიულ მომენტში ამ როლს?

ფიხტე უპირობოდ ანიჭებს უპირატესობას გერმანელ ერს. ამ ერმა შეჰქმნა ,,მეცნიერებათსწავლება", ვითარცა ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, ,,ახალი ბიბლია" მძლავრი ისტორიული გარდატეხისთვის, დიდი ისტორიული

მოვლენებისთვის. ხოლო ეს ,,ახალი ბიბლია" მომდინარეობს, საკუთრივ, გერმანელი ერის იდეიდან, სულისკვეთებიდან, გენიიდან.

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს იმ მოვლენასთან, რასაც ნაციონალური მესიანიზმი ჰქვია - რომელიღაც ერს განსაკუთრებული უპირატესობა აქვს და მოცემულ მომენტში ეკისრება განსაკუთრებული მსოფლიო-ისტორიული მისია.

ეს მოვლენა უძველესი და მარად აქტუალურია. ამავე დროს ძნელად მოიძებნება მეორე ისტორიული მოვლენა, მასავით რომ იმსახურებდეს სრულიად ერთმანეთის საწინააღმდეგო შეფასებებს. მის კლასიკურ და უხრწნელ ნიმუშს ვხედავთ ,,ძველ აღთქმაში", ღვთის მიერ ებრაელების ამორჩევის და მიკერძოებულად შეყვარების სახით.

ერთ დროს ქართველებსაც გვქონია ნაციონალური მესიანიზმი. ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" თამარს გვიხატავს, არც მეტი არც ნაკლები, ღვთის მეოთხე ჰიპოსტაზად: ,,მიუდგა თამარი განწმენდილითა გონებითა და ტაძრისა ღმრთისა აღმსჭუალულისა სანთლითა სხეულისათა, მხურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა ტაბახმელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა" („ქართლის ცხოვრება", 1959 :25). თამარის ასეთი განღმრთობა ქართული მესიანისტური იდეის გამოხატულებაა.

ასეთი იდეა ჰქონდა ყველა ისტორიული მნიშვნელობის ერს. ჰქონდათ იგი სომხებსაც. ისინი ბიბლიას იმოწმებენ _ წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა. ნოე სომხეთში დამკვიდრდა, იქვე აღესრულა და ეჩმიაძინში დაიკრძალა. ქართული მესიანიზმი კი, ალბათ, იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი"-დან იწყება.

შეცდომაა, ალბთ, მესიანიზმის ლოგიკური შეფასება; იმის განსჯა, თუ რამდენად შეესაბამება მესიანისტური რწმენა სინამდვილეს. ვინც ასე სვამს საკითხს, მას ავიწყდება, რომ რწმენა ლოგიკურ საფუძვლებს არ დაგიდევს. ის ძალაა და, მაშასადამე, ჭეშმარიტებისა და მცდარობის გარეთ დგას. რწმენა ადამიანს ძალთა მოკრებისთვის სჭირდება. რა მნიშვნელობა აქვს მის ჭეშმარიტებას ან მცდარობას? რწმენა, მათ შორის მესიანისტურიც, ჰგავს სიბნელეში, საშიშ ტყეში მიმავალი

ადამიანის შემოძახებულ სიმღერას. ეს სიმღერა მას ძალას ჰმატებს. მაშ რა მნიშვნელობა აქვს მის ესთეტურ ღირებულებას?

იგივე უნდა ითქვას ფიხტეს მესიანიზმის გამო. გერმანიას ცუდი დრო დაუდგა. პრუსიის ნაქები არმია დამარცხდა ნაპოლეონთან და სახელმწიფომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაჰკარგა. ფიხტე ცდილობს იმოქმედოს გერმანელთა სულიერი თავმოყრისთვის. ერი არ უნდა დაითრგუნოს. მან ძალები უნდა მოიკრიბოს. ამისთვის კი საჭიროა საკუთარი განსაკუთრებულობის და გამარჯვების რწმენა.

ეს სამუშაო ფიხტემ ჩაატარა თავის ლექციების ციკლით: „მიმართვა გერმანელი ერისადმი“. მტკიცე სულის მამაცი ფილოსოფოსი აღაგზნებს დამარცხებისგან დათრგუნულ გერმანელებს და აღვიძებს მათში გამარჯვების რწმენას, ბრძოლის წყურვილს.

ამიტომ ყველას, ვინც უარყოფითად აფასებს ფიხტეს ამ ნაშრომს, ცუდად ესმის მეცნიერების ადგილი ცხოვრებაში; კერძოდ, გადაჭარბებულად აფასებს მას, სხვათაშორის, ხელოვნების, მხატვრული აზროვნების ხარჯზე.

მაგრამ ფიხტეს ამ პატრიოტულად შთაგონებულ ლექციებს არც დინჯი და ღრმა მეცნიერული დასაბუთება აკლდა. ფიხტე იძლევა გერმანული მესიანიზმის ფილოსოფიური იდეის ლინგვისტურ და ფსიქოლოგიურ დაფუძნებას. წინაწარ ვიტყვით, რომ ფიხტეს ამ, ისევე როგორ ბევრმა სხვა, იდეამ გავლენა იქონია ჰეგელზე. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი თავის ისტორიის ფილოსოფიაში თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორებს ფიხტეს იდეას და მისეულ დასაბუთებასაც (Robert R. Williams,1992 :343).

ფიხტეს თანახმად, ევროპელი ხალხები ისტორიაში განსხვავებულ როლს ასრულებენ. ამ განსხვავების კვლევისას ფიხტე ევროპელ ხალხებს ორ ძირითად ნაწილად ჰყოფს _ რომანულ ხალხებად და გერმანელ ერად. უკანასკნელში გულისხმობს ყველა გერმანულენოვან ხალხს, ესე იგი, გერმანიაში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს. ამ დროს იგი რატომღაც დუმილით უვლის გვერდს ინგლისელებს; არ ეხება სლავებსაც. საბუთად ის მოაქვს,

რომ მათ, ესე იგი, სლავებს, ჯერ არაფრით გამოუჩენიათ თავი; მაშასადამე, ვერც რამე გარკვეულს იტყვიო მათს შესახებ.

ხალხებს ფიხტე აჯგუფებს ენობრივი ნიშნით. ფიქრობს, რომ ენის ხასიათი განსაზღვრავს ხალხის სულიერ წყობას და, მაშასადამე, მის როლსაც ისტორიაში. ფიხტე ზოგადად განიხილავს ენის ისტორიულ განვითარებას. თავიდან იგი წარმოადგენს გრძნობადი რეალობის და უმარტივესი სულიერი აქტების აღნიშვნას. ენა ამ დროს არსებობს ზეპირი სიტყვის სახით. მისი ნიშნები ბგერებია.

ფიხტე არ ერიდება საკითხის წმინდა ლინგვისტურ ასპექტებს, რადგან ამ საკითხების გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანული მესიანიზმის ფილოსოფიური იდეის დაფუძნებისთვის. საგანსა და სიტყვას შორის კავშირი, როგორც ფიხტე ამბობს, თავიდან მეტ-ნაკლებად თვითნებურია.

მაგრამ აქაც, ნიშნების შერჩევის დროს, ადგილი აქვს შეფასებას. ენის განვითარებასთან ერთად ამ შეფასების როლი იზრდება. სიტყვებს ზნეობრივი მნიშვნელობა ენიჭება _ ისინი პრაქტიკულად წარმართავენ ადამიანს. სხვაგვარად, ენის შეთვისებით ადამიანი გარკვეულ ზნეობას იღებს.

ფიხტე ამაში არ ცდება. მაგალითად, სიტყვა „სამშობლო“ ქართველს ეუბნება, რომ მისი მშობლები და წინაპრები აქ ცხოვრობენ და აქ არიან დაკრძალულნი; მაშასადამე, მან არ უნდა მიატოვოს ისინი. სიტყვა „თავისუფლება“ მას ეუბნება, რომ ის თავის თავზე მეტი უნდა გახდეს, უნდა გაბატონდეს მასზე; არ აჰყვეს თავის სისუსტეებს. სიტყვა „სიცოცხლე“ გვეუბნება, რომ სანამ ცოცხალვართ, უნდა ვენთოთ, ვათბობდეთ, ენერგიას ვასხივებდეთ, არ უნდა ჩავქრეთ და ასე შემდეგ. ფიხტე გვარწმუნებს, რომ ენას გიგანტური გავლენა აქვს ინდივიდის აზროვნებაზე და ზნეობაზე.

აქედან ფიხტე გადადის რომანულ და გერმანულ ენებს შორის არსებულ წმინდა ლინგვისტურ განსხვავებებზე, რათა აქედან გამოიყვანოს მათი ზნეობრივ-მეტაფიზიკური განსხვავებანი. რომანული ენები გაჩნდა ლათინურისა და გერმანულის ურთიერთშეღწევიდან. ამიტომ ეს ენები, მათი შემადგენლობით, შერეულია. გერმანული ენა კი ერთგვაროვანია - წმინდა გერმანულია.

რომანული ხალხები წარმოიშვა გერმანელთა ჩასახლებით ლათინურენოვანი ხალხების ტერიტორიაზე და ამ ორი ეთნიკური ჯგუფის შერევით. ჩასახლებულმა გერმანელებმა ვერ შეინარჩუნეს თავიანთი ენა და მისი შესაბამისი ზნეობა. ისინი შეეჯახნენ უფრო განვითარებულ კულტურას და მისგან აიღეს ენისა და ზნეობის ელემენტები; გადაიღეს მათი ადათ-წესები, საზოგადოებრივი ურთიერთობანი და, შესაბამისად, მათი ენობრივი აღნიშვნის წესები.

მაგრამ ეს არ ყოფილა არც ლათინურ ენაზე სრული გადასვლა, არც რომაელთა ზნეობის სრულად მიღება. ამის შედეგად დამყარდა ურთიერთობების ისეთი წყობა, რასაც არ ჰქონდა მთლიანობა. ეს იყო რაღაც ხელოვნური ერთობლიობა. შეიქმნა ისეთი ენა, რომელსაც აკლდა ერთიანი, მთლიანი მსოფლმხედველობისთვის აუცილებელი სისტემურობა.

ფიხტეს ეს დასკვნა საინტერესოა, მაგრამ სადავო. ძნელი სათქმელია, თუ რამდენად დაეთანხმებიან ამ ჰიპოთეზას რომანული ენის ლინგვისტები. მაგრამ ფიხტეს ჰიპოთეზას გარკვეული საფუძველი უთუოდ აქვს და ნამდვილად იძლევა ფიხტესთვის სასურველი დასკვნების გამოტანის საშუალებას.

გერმანულ ენას არ განუცდია მსგავსი აღრევა. ის განვითარდა თავისი საკუთარი ფესვებიდან. ის მუდამ ნათელი იყო და ყოველთვის რჩებოდა გერმანული ზნეობის ნაცად იარაღად.

ფიხტე გვთავაზობს საინტერესო მიგნებებს: სიტყვა Deutssh (გერმანული) ნაწარმოებია სიტყვისგან Deutlich (ნათელი); აგრეთვე უკავშირდება იგი სიტყვას Deuten (განმარტება). გერმანული ენა ნათელია მისი მარტივი, ერთგვაროვანი ფესვების გამო - ის არაა შერეული სხვა ენებს. ამ წარმომავლობითი და შინაგანი ერთიანობის, მთლიანობის გამო ფიხტე გერმანელებს ერად მოიხსენიებს, რომანელებს კი მხოლოდ ხალხებად (Iohann Gottlieb Fichte,2013 :73).

ენების ამ სხვადასხვა ბუნებიდან გამოჰყავს ფიხტეს მათზე დაფუძნებული ხალხების სხვადასხვა ისტორიული როლი. რომანული ხალხების ზნეობა მათ მატარებლებს ეჩვენებათ არასუბსტანციურად. ვერ გრძნობენ ისინი მის მთლიანობას, სუბსტანციურ, უპირობო ძალას. მათს თვალში ეს ზნეობა გამოიყურება მოზაიკურ

კონგლომერატად და აღიქმება თვითნებურ შეთანხმებად. როგორც კი საგნის გარეგნული, მოჩვენებითი სიცხადე დაირღვევა, ინდივიდის აზროვნება ჰკარგავს მიმართულებას (Iohann Gottlieb Fichte, 2009 :91).

ამიტომ ამ ხალხებს მხოლოდ არასრული მეცნიერება აქვთ. ისინი თავს არიდებენ მეტაფიზიკას. ამიტომ ეს ხალხები ცდისმიღმურ საგანთა მიმართ ვერ ინარჩუნებენ მეცნიერულ სიმყარეს და იძულებულნი არიან გაბატონებული შეხედულებანი გაიზიარონ ან მიაკუთვნონ ეს საგნები თვითნებობის სფეროს. ნებისმიერ შემთხვევაში ზნეობა და საზოგადოებრივი ნორმები მათ ეჩვენებათ პირადი ან კოლექტიური თვითნებობის შედეგად, ხოლო მათი მიღება ან მიუღებლობა - აგრეთვე თვითნებური არჩევანის შედეგად.

მოკლედ რომ ვთქვათ, მხოლოდ გერმანელები არიან ფილოსოფიური ერი. რომანული ხალხები კი სპეციალურ მეცნიერებას ვერ სცილდებიან, ფილოსოფიამდე ვერ მაღლდებიან. აქედან ფიხტეს გამოჰყავს მათი სხვადასხვა ისტორიული მისია. რომანული ხალხების ენები ენათესავება ლათინურსაც და გერმანულსაც. ეს ხდის მათ იდეალურ მედიატორებად. მათ შეუძლიათ ძველი კულტურული მემკვიდრეობის ათვისება და გადაცემა მომდევნო ეპოქის ადამიანებისთვის. მაგრამ მათ არ ძალუძთ ორიგინალური კულტურული შემოქმედების შექმნა.

ფიხტე ამ აზრს „მეცნიერებათსწავლების“ ზოგადი ცნებებით აფორმებს. რომანული ხალხები განსჯის დონეზე რჩებიან და გონებამდე ვერ მაღლდებიან. მათ არ შესწევთ ძალა გამოცდილებაში მოცემული ქვეყნიერებისგან სრულად გამოყოფისა და, მაშასადამე, მათზე გაბატონებისა. მათი აზროვნება, მათი სული ვერ აღწევს თავისუფლებას. ამიტომ მათ შეჰქმნეს აზროვნების ისეთი წესი, რომელიც უარყოფს გონებას განსჯის სასარგებლოდ. შესაბამისად, თავისუფლება მათ თვითნებობად გაიგეს. როცა ისინი უარყოფენ თავისუფლებას, უარყოფენ მხოლოდ იმიტომ, რომ თვითნებობად ეჩვენებათ იგი. ასევე, როცა თვითნებობენ, დარწმუნებულნი არიან, რომ თავისუფლები არიან. განსჯა ვერ არჩევს ერთმანეთისგან თვითნებობას და თავისუფლებას.

სხვაა გერმანელი ერი. მათი ენა შინაგანი, მთლიანი აზროვნების პირობას ჰქმნის ადამიანში. გერმანელი როდი აღიქვამს თავს პირველქმნილ ინდივიდუალურ რეალობად, საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან დაპირისპირებაში. ერთიც და მეორეც მას მიაჩნია თავისი არსებობის ფორმებად და არა თვითნებური არჩევანის შედეგად. აქედანაა სერიოზულობა, თანმიმდევრულობა და პატიოსნება გერმანული ხასიათისა.

ერმანელთა აუმღვრეველი, თვითნაბადი გენია თავისუფლად ჰქმნის „მეცნიერებათსწავლებას“. გერმანული სული შემოქმედია. მაშასადამე, მას ეკისრება მისია გაუძღვეს მსოფლიოს „გონივრული მეცნიერებისაკენ“; ითამაშოს გადამწყვეტი როლი ამ დიდი ისტორიული ნახტომის შესრულებაში.

სწორედ გერმანელთა ამ დიდი ისტორიული მისიის შესახებ მოუთხრობდა ფიხტე გერმანელებს თავისი ლექციების ციკლში „მიმართვა გერმანელი ერისადმი“ 1808-1809 წლებში, გერმანიისათვის ესოდენ ძნელ დროში.

ფიხტეს ეს მესიანიზმი ნაცისტური იდეოლოგიის პირველ ნიმუშად მონათლეს ნაცისტებმა. ამიტომ ისინი ამაყად იმოწმებდნენ ფიხტეს ავტორიტეტს. 1945 წლამდე ბერლინის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზს ამშვენებდა ფრესკა, რაზეც გამოსახული იყო ფიხტეს მიმართვა გერმანელი ერისადმი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ნაცისტების შეცდომა და დანაშაული გაიმეორა ლიბერალურმა დასავლეთმა, როცა მოკავშირეთა მიერ ნაცისტების დამარცხების შემდეგ ეს ფრესკა ჩამოხსნეს. ამ ჟესტით ისინი, ცხადია, დაეთანხმნენ ფიხტეს „მიმართვის“ ნაცისტურ შეფასებას და ინტერპრეტაციას. ვერც ნაცისტები და ვერც ლიბერალები ფიხტეს შეფასებისას ვერ გასცილდნენ პროპაგანდისტულ დემაგოგიას.

საკვირველია, რომ ამ შემთხვევაში დიდი ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი მათს თანამოაზრედ მოგვევლინა: „ფიხტე მნიშვნელოვანია არა როგორც წმინდა ფილოსოფოსი, - ამბობს რასელი, - არამედ როგორც გერმანული ნაციონალიზმის თეორიული ფუძემდებელი. ფიხრტე „მიმართვაში გერმანელი ერისადმი“ ცდილობს გაამხნევოს ნაპოლეონის მიერ იენასთან დამარცხებული გერმანელები. „მე“, ვითარცა მეტაფიზიკური ცნება, გერმანელებს ადვილად ერეოდათ

ემპირიულ ფიხტეში. რაკიღა „მე“ გერმანელია, აქედან გამომდინარეობდა, რომ გერმანელები ყველა სხვა ერზე მაღლა დგანან. ,„გქონდეს ხასიათი და იყო გერმანელი, - ამბობს ფიხტე, - უეჭველად ერთი და იგივეა!“. ამ ნიადაგზე მან შეიმუშავა ნაცისტური ტოტალიტარიზმის მთელი ფილოსოფია, რასაც ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა გერმანიაში“ (Bertrand Russell, 2009 :841).

მაგრამ ნაციზმი ხომ ძალადობას ეფუძნებოდა?! გერმანელებს მსოფლიო უნდა აეღორძინებინათ უსასტიკესი სამხედრო ძალადობის გზით. რასაც არაფერი აქვს საერთო ფიხტეს. ფიხტე პირწმინდა იდეალისტია და გარეგან ავტორიტეტს, მით უფრო, ძალადობას ისტორიულად განვლილ საფეხურად თვლის! გერმანელთა განსაკუთრებული მისია უნდა გამოიხატოს მხოლოდ ფილოსოფიური აზროვნების გავრცელებაში, აღზრდის ახალი მეთოდის შემუშავებაში, გამოყენებაში და მთელი მსოფლიოსთვის შეთავაზებაში.

დიახ, გერმანელთა მისიაში ფიხტეს ესმის მხოლოდ ფილოსოფია და მასზე დამყნილი აზროვნების მაღალი კულტურა. ცხოვრების ყველა სფეროში ფილოსოფია უნდა გაბატონდეს. ახალ ეპოქაზე გადასვლის გზას ფიხტე ეძებს არა პოლიტიკურ ან ეკონომიკურ რეფორმებში, არამედ აღზრდაში. აღზრდისა და განათლების მთავარ ამოცანად კი მას ესმის „ადამიანში მყარი და შეუმცდარი კეთილი ნების აღზრდა“ (Iohann Gottlieb Fichte,2013 :73).

აღზრდა ნამდვილი ხელოვნებაა. ეს არის „ადამიანის მთლიანად ადამიანად გადაქცევის ხელოვნება“ (Iohann Gottlieb Fichte,2013 :95). აღზრდა, როგორც პროცესი, გარეგანია, მაგრამ მთელი მისი შინაარსი მხოლოდ შინაგანის ამოქმედებაა. ადამიანი არის ,,მარადიული რგოლი ღვთაებრივი ცხოვრების გამოცხადების ჯაჭვში” (Iohann Gottlieb Fichte, 2013 :91). მაგრამ ადამიანი მიკრულია ნივთებს, გარეგან გამღიზიანებლებს და ვერა გრძნობს თავის ამ შინაგან განძს. სწორედ ამისთვის არსებობს აღზრდა. მან უნდა უჩვენოს ადამიანს თვით მასში არსებული ღვთაებრივი ცხოვრება ახსნის, საუბრის, ცოცხალი მაგალითების გზით.

ადამიანი ხელმძღვანელობს „ბუნდოვანი გრძნობით“. ეს გრძნობა ზედაპირზე სრიალებს. მას ერთეული საგნები ეჩვენება არსებულად და, მაშასადამე, თავისი

მისწრაფების საგნად. შესაბამისად, ადამიანს იტაცებს სიამოვნება, რასაც იძლევა სასურველი საგნის ფლობა.

სულ სხვაა, როცა განსჯა მაღლდება კანონებამდე, რომლებიც მართავს ამ ერთეულ საგნებს. ამჯერად ადამიანს მისწრაფების საგნად აქვს კანონი, ცხოვრების წესი. ადამიანს იტაცებს არა სიამოვნება, არამედ თვითონ სულიერი აქტივობა, „ნათელი შემეცნება“ და მასზე დამყარებული „სწორად ცხოვრება“ ანუ ზნეობრივი ქცევა. პირველ შემთხვევაში ადამიანი მოქმედებს იძულებით. მისი მოქმედებითობა ცხოველურია. მეორე შემთხვევაში ადამიანი მოქმედებს, როგორც საკუთრივ ადამიანი; ესე იგი, თვითონ, თავისუფლად.

ფიხტე სწორედ ასეთ მოქმედებას უწოდებს ნამდვილ მოქმედებითობას. სიამოვნების მძებნელი ადამიანი „ვნებითი მხარეა“. მისი მოქმედებითობა მხოლოდ პირობით ითქმის. ის ვნებების ტყვეა და თითქოს ძილის მდგომარეობაშია. მხოლოდ შემმეცნებელი და შემეცნების საფუძველზე მცხოვრები ადამიანია ,,ფხიზელი”. მხოლოდ ის მოქმედებს თვითონ, თავისუფლად.

ასეთი აღზრდა ემყარება „მეცნიერებათსწავლებას“. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს ფილოსოფიური აღზრდაა. ფიხტე მას „ახალ აღზრდას“ უწოდებს და სთავაზობს მას თავის თანამედროვე - „ცარიელ თავისუფლებაში“ და „დასრულებულ ცოდვიანობაში“ ჩაფლულ კაცობრიობას.

ეს ახალი აღზრდა არსებითად განსხვავდება ძველებური აღზრდისგან. უკანასკნელი ფიხტეს ეჩვენება გარეგან ზემოქმედებად. ძველებური აღზრდა დანდობილი იყო აღსაზრდელის მეხსიერებაზე. ადამიანს აწვდიდნენ მზა ცოდნას და ქცევის ნორმებს. აღსაზრდელი მხოლოდ იმახსოვრებს მას და ცდილობს დამახსოვრებულის გამოყენებას.

ეს, როგორც ფიხტე ფიქრობს, არაა ეფექტური და მომგებიანი. გარეგანი აღზრდა ძალადობაა და უკურეაქციას იწვევს. ადამიანმა შეიძლება აითვისოს ეს ნორმები და გამოიყენოს კიდეც, მაგრამ ვერ გაითავისებს. მისი ცნობიერება გაორდება და დასნეულდება. ამით აიხსნება სასწავლო პროცესის მუდამ თანმხლები ნევროზები.

აღსაზრდელი იმთავითვე უკუაგდებს გარედან თავსმოხვეულ ნორმებს, რადგანაც ისინი ზღუდავს მის თავისუფლებას. ამიტომ აღზრდა შედეგს ვერ აღწევს.

ზოგი აღსაზრდელი კი თვინიერად ემორჩილება, დაჰყვება აღზრდას; მაგრამ სამაგიეროდ მისი „მე“ ამ დროს ორად იხლიჩება. ადამიანი სულიერად სნეულდება და, მაშასადამე, აღზრდა ვერც აქ აღწევს მიზანს.

ახლებური, ფილოსოფიური აღზრდა შინაგანია. აღსაზრდელს ისეთი შთაბეჭდილება უნდა დარჩეს, რომ თვითონ სურს ის, რასაც მისგან მოითხოვენ. ასეთი დახვეწილი აღზრდა მხოლოდ ღრმა, ფილოსოფიური აზროვნების კულტურას შეიძლება ემყარებოდეს. ამას კი მხოლოდ „ჩაკეტილი სავაჭრო სახელმწიფო“ უზრუნველჰყოფს.

ეს სახელმწიფო „ჩაკეტილია“ იმ აზრგაგებით, რომ ზღუდავს ,,ბუნებრივ მიდრეკილებებს” - არ დაუშვებს „კონკურენციის ბუნებრივი მექანიზმის ბატონობას და თვითონ კისრულობს შრომის მთელ ორგანიზაციას. მან უნდა განსაზღვროს ყველა მოქალაქის სამუშაო და შრომის ანაზღაურება. მაგრამ ასეთი ორგანიზაცია ითხოვს, რომ სახელმწიფომ თავის ხელში აიღოს საქონლის შემოტანა და გატანა, ესე იგი, მთელი ვაჭრობა სხვა სახელმწიფოებთან“ (Iohann Gottlieb Fichte, 2012 :183).

მხოლოდ ასეთი, ფილოსოფიაზე, კერძოდ, „მეცნიერების შესახებ მოძღვრებაზე“ დამყარებული სახელმწიფო შეეგუება ფილოსოფიურ აღზრდას. ფიხტე აქ პლატონს უახლოვდება და „ძველი მანკიერი წრეც“ იკვრება: ფილოსოფიამ უნდა შეჰქმნას სახელმწიფო, მაგრამ თვით ფილოსოფიას სწორედ სახელმწიფომ უნდა მისცეს გასაქანი, ხელი არ უნდა შეუშალოს. აქ ერთადერთ იმედად და გამოსავლად ჩანს ფილოსოფოსთა აქტიურობა და ზეგავლენა ხელისუფლებაზე.

ფიხტე სწორედ ამას ცდილობდა, როცა აკადემიური მოღვაწეობითაც, პოპულარული სტატიებითაც და ზეპირი სიტყვითაც ემსახურებოდა ფილოსოფიური აზროვნების გავრცელებას და დამკვიდრებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ქართლის ცხოვრება“ ტ. II, გამომცემლობა „საბჭ. საქართველო“, თბილისი, 1959.
2. Fichte Iohann Gottlieb, „ Addresses to the German Nation“, Harper & Row Publishers, New York. 2013.
3. Fichte Iohann Gottlieb, „The Closed Commercial State“, Suny Press, New York 2012.
4. Fichte Iohann Gottlieb, „The Destination of Man“, Chapman Broders, London 2009.
5. Russell Bertrand, „History of Western Philosophy“, Taylor & Francis Ltd, London, 2009.
6. Robert R. Williams „Recognition Ficte and Hegel on the Other”, University of New York, 1992.
7. Виндельбанд, В. „История новой философии в ее связи с общей культурой и отдельными науками“, Т. 2, „Канон – Пресс“, Кучково поле, Москва 1998.

Abstract

In the philosophy of German philosopher Johann Gottlieb Fichte the whole historical process is characterized by Iawful nature, everything in the universe is determined and depends oncausal law. It excludes the existence of any chance event. For Fichte the universe is governed by only strict necessity and causality. In this philosophy he put forward the issue of the historical development and historically formed eras of mankind as well as of the change for societal forms and tried to explain in form philosophical standpoint.

ქეთევან მუხიგული

GIPA (საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი)

აფილირებული პროფესორი